

**20. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ, 1995 წლის 24 თებერვალი.**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ

1994 წლის 10 მარტს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო.

აღნიშნული ნულოვანი ვარიანტი ქმნიდა იმის პირობებსაც, რომ აფხაზეთში ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებული ასიათასობით დევნილის დაბრუნების შემდეგ განისაზღვრებოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, მსოფლიოს მიერ ცნობილი, გაეროს რეზოლუციებით არაერთხელ დადასტურებული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში და მომზადდებოდა საფუძველი აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებულმა, ეროვნული უპირატესობის ნიშნით, წინასწარი საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიით, მოსახლეობის უმცირესი ნაწილის მიერ 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულმა გუდაუთის სეპარატისტულმა დაჯგუფებამ კვლავ უკანონოდ გააგრძელა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით მოქმედება, უფრო მეტიც, მიიღო ე.წ. კონსტიტუცია, აირჩია პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იმ დეკლარაციებმა, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს, ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე შეაჩერეს საქმიანობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების ანტიკონსტიტუციური საქმიანობისადმი პროტესტის ნიშნად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მათ 1995 წლის იანვარში განაახლეს მუშაობა და სთხოვეს საქართველოს პარლამენტს კომპეტენციის დადასტურება.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ აფხაზეთში არსებული ხელისუფლების ვაკუუმი სეპარატისტთა დაჯგუფებას საშუალებას აძლევს გაიხანგრძლივოს დანაშაულებრივი უზურპატორული საქმიანობა, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენა აფხაზეთის რეგიონში.

“სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ – უმაღლეს საბჭოდ ცნობილ იქნენ 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში (სია ერთვის დედანს).

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის და იმ საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას; შექმნას აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სტრუქტურის ნორმალურ ფუნქციონირებას და აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად სათანადო ნორმატიული ბაზის შექმნას.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიენიჭოს უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული დელეგაციის თანხმობის გარეშე ბათილად ჩაითვალოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება, შეთანხმება და განცხადება.

4. გაეროს წევრ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ეთხოვოთ თავი შეიკავონ ყოველგვარი ურთიერთობისაგან ეთნიკურ წმენდაში – გენოციდში დამნაშავე აგრესიულ-სეპარატისტულ რეჟიმთან (გუდაუთის დაჯგუფებასთან), გარდა სამშვიდობო პროცესის მონაწილე ოფიციალური პირებისა, შუამავლებისა და დამკვირვებლებისა, რომელთაც ყველა პირობა უნდა შეექმნათ სამშვიდობო მოღვაწეობისათვის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

**1995 წლის 24 თებერვალი.**

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, ## 23-26, გვ. 79-81)